ზურაბ სანადირაძე
ფილოლოგიის მაგისტრი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის
ასისტენტ-პროფესორი

ირინე არჯევანიძე
ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების ასპექტები და თანამედროვე რეალიები საქართველოში

ანოტაცია

ქართული ენის, როგორც მეორე ენის, შესწავლა მნიშვნელოვანი გამოწვევაა უცხოელებისა და არაქართული მოსახლეობისთვის. ამ პროცესში უმთავრესი ყურადღება ეთმობა ენის უნიკალურ მახასიათებლებს, როგორიცაა ქართული ენის ნაწილობრივ აგლუტინაციური სტრუქტურა, შედარებით რთული გრამატიკა, ფონეტიკური თავისებურებები და ორიგინალური ანბანი. სწავლების პროცესი მოითხოვს ინოვაციური მიდგომების გამოყენებას, როგორიცაა კომუნიკაციური მეთოდები, მულტიმედიური რესურსები და კულტურული ჩართულობა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენის პრაქტიკულ გამოყენებას რეალურ სიტუაციებში, როლური თამაშებისა და დიალოგური პრაქტიკის მეშვეობით.

ქართული ენის შესწავლის ეფექტიანობა მეტწილად დამოკიდებულია სწორ მეთოდოლოგიასა და ენობრივ გარემოზე, რაც ეხმარება ენის შემსწავლელებს არა მხოლოდ ენის ტექნიკურ შესწავლაში, არამედ მისი კულტურული მნიშვნელობის გააზრებაში.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, მეორე ენა, გრამატიკა, ანბანი, კომუნიკაციური მეთოდები, კულტურული ჩართულობა, სწავლების მეთოდიკა.

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების ასპექტები და თანამედროვე რეალიები საქართველოში

ქართული ენის, როგორც მეორე ენის, შესწავლა მნიშვნელოვანი გამოწვევაა უცხოელებისა და არაქართული მოსახლეობისთვის. ამ პროცესში უმთავრესი ყურადღება ეთმობა ენის უნიკალურ მახასიათებლებს, როგორიცაა ქართული ენის ნაწილობრივ აგლუტინაციური სტრუქტურა, შედარებით რთული გრამატიკა, ფონეტიკური თავისებურებები და ორიგინალური ანბანი. სწავლების პროცესი მოითხოვს ინოვაციური მიდგომების გამოყენებას, როგორიცაა კომუნიკაციური მეთოდები, მულტიმედიური რესურსები და კულტურული ჩართულობა.

აღნიშნული საკითხი საკმაოდ აქტუალურია თანამედროვე საქართველოში, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ქვეყანაში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ და ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება მათი ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ქართული ენის, როგორც მეორე ენის, სწავლების თემა მოიცავს მრავალფეროვან შინაარსობრივ ასპექტებს, რომლებიც თანამედროვე რეალობებსა და გამოწვევებზეა დაფუძნებული.

ქართულს, როგორც მეორე ენას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოში

მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან კომუნიკაციისთვის, ასევე, მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვისა და პირადი განვითარებისათვის. ამ პროცესში სწავლების მეთოდები, რესურსები და საგანმანათლებლო პოლიტიკა გადამწყვეტ როლს ასრულებს.

ენობრივი პოლიტიკა და ინტეგრაცია:

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება საქართველოში მოითხოვს კომპლექსურ და თანამედროვე მიდგომებს. აუცილებელია სახელმწიფოს, პედაგოგებისა და საზოგადოების თანამშრომლობა, რათა ქართული ენა იყოს არა მხოლოდ სასწავლო საგანი, არამედ ყოველდღიური ინტეგრაციის საშუალება. სწორი პოლიტიკა და სწავლების ინოვაციური მეთოდები ხელს შეუწყობს სახელმწიფოს შიგნით ეთნიკური მრავალფეროვნების ჰარმონიულ თანაარსებობას. **[2]**

ქართული ენა საწინდარია სახელმწიფოებრივი ერთიანობისა – საქართველოში, სადაც ცხოვრობს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი, როგორიცაა: სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, აფხაზები და სხვანი, ქართული ენა წარმოადგენს ერთიანი კომუნიკაციისა და ბალანსირების ინტეგრაციის ძირითად წყაროს. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობას შორის შემაკავშირებელი ხიდის შექმნაში, რადგან ენის ცოდნა უზრუნველყოფს სხვადასხვა ჯგუფის წევრებისთვის საზოგადოების სრულფასოვან წევრობაში ჩართვას.

ქართული ენის სწავლება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის არამარტო ენის ცოდნის გაძლიერებას გულისხმობს, არამედ ეს ხელს უწყობს ეროვნულ თანასწორობასა და სამოქალაქო ცნობიერების ზრდას. **[3]**

ქართული ენა, როგორც კულტურული იდენტობის საშუალება – ქართული ენა არამხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ საქართველოს უნიკალური კულტურული იდენტობის მატარებელიცაა. ეს უძველესი ენა დაკავშირებულია ქვეყნის ისტორიასთან, ხალხის ტრადიციებთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან. ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში ქართული ენა მძლავრი იარაღია კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნებისთვის.[5]

სახელმწიფო ენა ასრულებს საგანმანათლებლო ფუნქციასაც, რომელიც ხელს უწყობს ქართველი და არაქართველი ენის შემსწავლელთა შორის კავშირს, ცოდნის გაზიარებასა და საერთო სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადოების შექმნას.

მნიშვნელოვანია ქართული ენის შესწავლა უცხოელთათვის. ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პერსპექტივები საქართველოსა და უცხოეთში განიხილება სხვადასხვა ასპექტიდან. როგორც ქვეყნის საერთო-სახალხო ეროვნული ენა, ქართული ენა ძირითად როლს ასრულებს, როგორც ეთნიკური მრავალფეროვნების გადალახვისა და ეროვნული ერთიანობის მიღწევის ხელშემწყობი. მიმდინარე ტენდენციები და მომავალი პერსპექტივები მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- საქართველოში ქართული ენის სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ რეგიონებში, როგორიცაა: ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი. აღნიშნულ რეგიონ(ებ)ში ქართულ ენაზე კომუნიკაცია და განათლების მიღების პროცესში ხშირია დაბრკოლებები. ამიტომ სახელმწიფო პოლიტიკა და სახელმწიფო პროგრამები, მაგალითად, როგორიცაა **„ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“,** რომელშიც ამჟამად აქტიურად არიან ჩართულნი პედაგოგები და ცდილობენ მსურველთათვის დახმარების გაწევას, მათი მეშვეობით უნდა გაიზარდოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კომუნიკაციური და კულტურული ინტეგრაცია.
- სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ინიციატივები ხელს უწყობს არაქართულენოვანი მოქალაქეების სოციალურ და პროფესიულ გარემოში სრულფასოვანი ჩართვის პროცესებს. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სხვადასხვა რეგიონში მყოფი ენთუზიასტი მასწავლებლების მიერ შეთავაზებული ვაკანსიები და გადამზადების პროგრამები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ მიმართულებით.**[3]**

აუცილებლად აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ – ქართული ენის განვითარების გეოგრაფია შედარებით მცირე დიაპაზონშია, ვიდრე სხვა საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ენებისა, მისდამი ინტერესი საერთაშორისო აკადემიურ წრეებისა და უცხოელების მხრიდან კვლავაც იზრდება. სტუდენტებისა და მკვლევრების ჯგუფი, რომლებიც დაინტერესებული არიან ქართული ენის ისტორიითა და მისი შესწავლით, ასევე, საქართველოს კულტურისა და ისტორიით. ეს ყოველივე ხაზს უსვამს ქართული ენის საკვანძო მნიშვნელობას ჩვენს ტერიტორიულ არეალში.

დასკვნა

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პერსპექტივები გულისხმობს მნიშვნელოვან რეფორმებს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასა და უცხოელთა მხრიდან ინტერესის გაზრდას. მისი წარმატებული განხორციელება გააუმჯობესებს/დახვეწს სახელმწიფოს მიზნებს ეთნიკური მრავალფეროვნების მართვასა და ქართული ენისა და დამწერლობის საზღვარგარეთ პოპულარიზაციაში.

გამოყენებული ლიტერატურა და სხვა რესურსი:

1. **ეროვნული სასწავლო გეგმა** – https://www.mes.gov.ge/content.php?id=3929&lang=geo (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ 2016 წლის 18 მაისი, ქ. თბილისი)
2. განათლების სექტორის მიმოხილვა, ეთნიკური უმცირესობების და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების გამოწვევების იდენტიფიცირება – https://idfi.ge/ge/overview_of_the_education_sector_and_identification_of_challenges_faced_by_ethnic_minorities_and_socially_vulnerable_groups IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბ., 2024
3. საქართველოს პირველი ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის 25-ე მუხლის პირველი პარაგარაფის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა, 2007
4. ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკური ანალიზი, ბთკკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, ეთნიკური უმცირესობების პროგრამა, თბ., 2008
5. პროექტი **„საქართველო, როგორც მრავალეთნიკური და მრავალფეროვანი ქვეყანა“,** თბ., 2023